



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ბაქრაძე თამარ ივანეს ასული



თ. ბაქრაძე

ბაქრაძე თამარ ივანეს ასული (28. XII. 1907, სოფ. ხაშში, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 18. VI. 1995, თბილისი), მსახიობი. საქართვე. სახ. არტისტი (1967).

დაამთავრა თსუ ისტ. ფაკ-ტი და რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრთან არსებული დრამ. სტუდია (ორივე 1930).

1930 – 63 რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო. საუკეთესო როლები: ტატიანა (ბ. ლავრენიოვის „რღვევა“), ამალია (ფ. შილერის „ყაჩაღები“), მიქაელა კოროლიო (გ. მდივნის „ალკაზარი“), ემილია და გერტრუდა (უ. შექსპირის „ოტელო“ და „ჰამლეტი“), კრუჩინინა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის „ლალატი“), კნეინა ჩიტუნია (შ. დადიანის „გუშინდელნი“), ოთარაანთ ქვრივი (ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის მიხედვით“), იოკასტე (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), სალომე ჭავჭავაძე (მ. მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“), ქეთევან დედოფალი (ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“) და სხვ.

1964-იდან ბ. თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში მიიწვიეს მსახიობის ოსტატობისა და მეტყველების კულტურის მასწავლებლად. გადაღებულია ფილმებში „ჩრდილი გზაზე“ (მაგდა, 1956), „ენგურის ნაპირებზე“ (მარიამი, 1961) და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწიფო. ჯილდოები.

**ა. გვინცაძე**

---